

ზინაური საქმეები

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი.

№ 9.

კვირა, მარტი 1, 1909 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.

ნახევარი წლით — 2¹/₂ მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კანკიკათ.

ადრესი: ქუთაისი „ზინაური საქმეების“ რედაქცია.

ზინაურის: ქუთაისი 1 მარტი (მოწინავე); ილია ქავჭავაძე — ხომლეღისა; აკაკი წერეთელი — მღვ. მ. კელენჯერიძისა; პირველი ფურცელი ბიბლიისა (გავრცელება) — ონოფრე მჭირისა; აბრეშუმის მოვლა — ნ. მეურნალისა; მეგობარს (ლექსი) — ონოფრე მჭირისა; რა უნდა სოფელს? — ნ. მეურნალისა; ყვირილამ კერობამღე.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ 1908 წლის ხელდარი ფასი.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

„ზინაურ საქმეებს“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო — კახაკოვის — შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში — წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2¹/₂ მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

ქუთაისი 1 მარტი.

გურია საძეგრელოს სამღვდლოებს სიას სთხოვს ადმინისტრაცია დრამის შესაჯრებად. სამღვდლოება ორ ცეც ლმუხა ჩავარდნილი: არ მისცეს მართებლობის ემინია, მისცეს, ხალხის. გურულებს კატეგორიულად აქვთ ვადაწვევტილი ერთი კანკიკი დრამა არ კაიღონ. ჯერ კიდევ კრიმპირების გამომიების დროს იგინი ვადაჭრით ამობდენ, „მღვდელი მან არ-

ჩინოს, ვისაც ეჭირვებო“. ამ სოციალ-დემოკრატიულ პრინციპში გურულება სამღვდლოებს იმ დაინახს, რაც უნდა დაუნახს, ყოველ თალ-ეურის მექონს, ე. ი. ის, რომ გურულები მხათ არიან სარწმუნოებას უარი ჰქონ, ოღონ დრამის ნუ გადახდევინებენ. რა უნდა ექნა ამ შეძთხვევაში სამღვდლოებს მის მეტი, რაც ჰქნა, ე. ი. უარი განეცხადებია დრამის აღებაზე, — ოღონდ ხალხს სარწმუნოებაზე გული არ ასკურებოდა. ასეთი საქციელი მატერიალურად დაქვეითებულ სამღვდლოებს გმირობაში უნდა ჩამორთმეოდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს საქციელი არაფერს არ დაუყასა მას, არც მართებლობამ და არც მეგნებულმა საზოგადოებამ. სოციერთებმა მას ისე შეხედეს, ვითომ სამღვდლოება ვალდებული იყო და დღესაც ვალდებულია შექთად იმსახუროს. ქრისტე არაფერს



დებულობდა და მღვდელმაც არაფერი არ უნდა აიღოს თავის სამსახურისთვისო. აი ის უაზრო და ყოვლად უნიადგო საბუთი, რომლითაც თავის თავსაც ატყუებენ და სხვასაც სოკოვით ვითომ-და საღ ხის ძეგლობები.

თუ მღვდლებს არაფერი ერგება თავის სამსახურისათვის მიტომ, რომ მათი შრომა უნაყოფოა, როგორც ამბობენ და ამტკიცებენ ცნობილი წრის ადამიანები, და საღსიც უჯერისთ ამას, მაშინ რაღა ეთქმის სამღვდულოებს, იესო ქრისტეს მცნებისამებრ ფერსთავან მტვერი უნდა გაიყარონ და გამოვიდნენ იმ ქალაქიდან სადაც მას არ დებულობენ. მიძალეა სჯულის დარღვევა იქნება. ქრისტეს და მოციქულებს არავისთვის ძალა არ დაუტანებათ, კინდა, თუ არა, ქრისტიანი იუპეო, წინააღმდეგ, იგინი მხოლოდ თავისუფალ სურვილზე ამუშავებდნენ ქრისტიანობის გავრცელების საქმეს. მხოლოდ მახმადის სარწმუნოება თხოვლობს მართლმორწმუნეთაგან ძალდმოძრვობას სარწმუნოების საქმეში. თუ გურულები ამ დასკვნადის არ მისულან, თუ ესეთი შესჯდულება სამღვდულოებასე, მხოლოდ ერთეულების საქმეა და არა უმეტესობისა, მაშინ დგება საკითხი: უნდა მიეცეს თუ არა სამღვდულოებას სამშრომელი, ე. ი. უნდა ასაზრდოვოს თუ არა სამღვდულოება საკუთარმა შრომამ მრევლისათვის, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, უნდა აიღოს თუ არა მუშაკმა შრომის ფასი? სადგომო და საერთო შესჯდულება ამ საგანზე გამოიხატება იესო ქრისტეს შემ-

დეგ სიტყვებში: „ღირსია მუშაკი სასუი-დღისა.“ დასაგმობი მხოლოდ ისაა, როცა ადამიანი, მხარ-თქმლზე წამოწოლილი და არ რის მოქმედი, სარგებლობს სხვის შრომით. თქმა არ უნდა, რომ მღვდელს ბევრი სამშრომელი აქვს სამრევლოში, ასე რომ, თუ მრევლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას გაჭევა, თავისთვის ვედარაფერს გააკეთებს, ვერაფერ შეძლავალს გაიჩენს, რომ ამით თავი ირჩინოს და მრევლი არ შეაწუხოს. ეს უფრო იმ მღვდლებზე ეთქმის, რომლებიც მიერუებულ სოფლებშია გადასეგწილი, სადაც მათ ერთი დაჯდომა მიწა არ გააჩნიათ, რომ ქონი დაიდგან და ცოლ-შვილი შეაზარონ. ასეთ შემთხვევაში თვით კაცობრივმა გრძნობამ უნდა უკარნახოს ვკაღას, თუ როგორ მოიქცეს. გარდა ამისა მღვდელს ისეთი განავალიც აქვს, რომელიც სხვა შემთხვევაში მას არ ექნებოდა. მღვდლისთვის ზირად-დ სულერთია საიდგან გაუჩნდება წყარო ცსოკრებისა, მისცემს საზინა, თუ სალხი თავის ჯიბიდგან. მხოლოდ ამაზე სალხმა უნდა იზრუნოს, რადგან იგი სალხს ემსახურება. მაშასადამე გურული სამღვდულოების გამოუვანა იმ ტრაგიკულ მდგომარეობიდგან, რომელშიდაც დღეს არის ჩავარდნილი შეუძლია ისევე სალხს, რომელიც ვალდებულია ერთი გადაჭრილი ზასუხი მისცეს მას შესახებ მისი საჭიროებისა და რჩენაყოფისა.



ილია ჭავჭავაძე,

როგორც ლირიკოსი — პოეტი.

(27 დეკემბერი 1837—30 აგვ. 1907 წ.)

„ნეტა, ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა,
ის იქვე ეწაფება
უკვდავების წყაროსს!...“

ილია ჭავჭავაძე.

(გაგრძელება*)

ჩვენ გვახსოვს სოფლიო ისტორიიდან მხოლოდ ერთი მაგალითი, როდესაც მეფე მტერს თავისით ნებდება და თავს შეაკლავს. ერთხელ დორიელები საბერძნეთის ერთ კუთხეს, სახელდობ ატიკას, შეესივნ და მისი დაპყრობა უნდოდათ; ატიკის მცხოვრებლებმა მარჩიელს მიმართეს; მან თქვა: „ის მხარე გაიმარჯვებს, რომლის წინამძღოლიც მოიკვლიოს“. ათინის მეფემ კოდრმა ჩაიკვა უბრალო კაცის ტანისამოსი, წავიდა მტრის ბანაკში, ასტეხა იქ ჩხუბი და მტერს განგებ თავი შეაკლა. როცა დორიელებმა შეიტყვეს, რომ მათ მიერ მოკლული ათინის მეფე იყო, მარჩიელის წინასწარმეტყველობის შეეშინდათ და გაიქცენ.

მე გესმის ამგვარი თავის შეწირვა. აქ ხალხისადმი სიყვარულიც იხატება, სიმხნეც და მასთან კვლა და მოსახურება, უტყუარი ანგარიში. კოდრი დარწმუნებული იყო, რომ მისი სიკვდილი ნაყოფს მოიტანდა. მარჩიელების (ორაკულების) წინასწარმეტყველობას საბერძნეთში ძველათ ისე უყურებდნენ, როგორც ქრისტეს მოსვლის პირველ საუკუნეში ქრისტეს სიტყვებს უყურებდნენ ხოლმე მისი მორწმუნენი. ვგ სულ სარწმუნოების საქმეა, და, აბა, რა კოდრის საქციელის შესადარებელია ჩვენის მეფის დიმიტრის საქციელი! ერთი სწორავს თავის თავს, სრულიად დაჯერებულია, რომ თავის სიკვდილით მტერს დაამარცხებს და თავის სამეფოს უბედურებას ააშორებს, მეორე კი მიდის წინდაუხედავად, სამეფოს შესახებ არაფერ განკარგულებას შერება (უნდა

*) იხ. „შინ. საქ.“ № 8

ვიფიქროთ, რომ მეფეს იმედი ქონდა, კვლავ უკან დაებრუნდები უვნებლათ) და კვდება ჯალათის ხელით.

ამ გვართ, დიმიტრი თავდადებული არ წარმოადგენს ჩვენთვის მეფეთა შორის სანატრელ იდეალს. მაგრამ დიმიტრი ისტორიული პირია და, მაშასადამე ავტორის ნაკლულთვანებათ მხოლოდ ის უნდა ჩავთვალოთ, რომ დიმიტრის ამგვარი უაზრო თავდადებით ერთობ აღტაცებულა, ეს მეფე თავის პოემის გმირათ აუყვანია და იდეალათ თვალწინ გვიყენებს.

როცა „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ დიმიტრი თავდადებულის ცხოვრებას და ჩვენ მიერ აღებულ პოემის შინაარსს ვადარებთ, თითქმის ვერაფერ განსხვავებას ვპოულობთ. მეფე დიმიტრის გულშემატკივრობა თავის ქვეშევრდომთადმი; დამმარცხებულის ყვინის წინადადება: ან თვით გამოცხადდი ჩემთან, ან შენს ქვეყანას ავაოხრებო; მეფის მიერ დიდებულითა მოწვევა და მათი თათბირი; მეფის ამოყვინება კრების წინააღმდეგ, რომ უთუოდ უნდა წავიდე ურდოსო; ღვედელთავრის აზრი, რომ წასვლა ურჩია; მეფის მისვლა ურდოს და მისი თავის მოკვება, — ყველა ეს ძლიერ ვერცლად არის აწერილი „ქართლის ცხოვრებაში“. ჩვენის პოეტის საკუთრება პოემაში მხოლოდ ის არის, რომ 1) დიმიტრის თავდადავალს მოგვითხრობს ვიღაც მეფანდურე (ეს წესი მოთხრობებში ხშირად უხმარიათ სხვა და სხვა მწერლებსაც ჩვენს პოეტამდის), 2) მოხუცისა და მისი ორის შვილის გამოსვლა. ამგვართ, პოეტის ფანტაზიასა და აღმაფრენას აქ ბევრი არაფერი უმუშავნია.

ჩვენის აზრით, საუკეთესო ადგილი პოემაში არის მეფისადმი მიმართული მოხუცის სიტყვები, — უკეთ ვთქვათ — აზრი, რასაც მოხუცი ეუბნება მეფეს და გრძნობა, რომელიც იხატება მოხუცის სიტყვებში:

...გულს რად გვიკლავ? რად მიღიხართ?

ნუ თუ, მეფე, ხსნა არ არი?
ქულზე კაცი დაუძახე,
მოაგროვე სპა და ჯარი.

კოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
ვინც კია, ყველა დევია...
ბევრჯერ უნახავს ქართველის მტერს,
რომ კოტაც ბევრის მძლევა.

აჰა, მეფევე, ორი ბიჭი,
მხრებში რომ ამომჯდომია,
ორივე ჩემი შვილი არი
ერთი მეორის მჯობია.
შიირთვი და ინაცვალე,
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
ომში, მეფევე, გაჩვენებენ,
რა ლომებს ზრდის ქართველის ბუდე,

შეკრიბე დიდი, პატარა,
გაუძელ წინამძღოლად,
მტერს წინ დახვდი... ვინც უკუდგეს,
დედა შეერთოს ცოლად.

ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევე,
ბევრი რამ გადახედია,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ წაუხრია ქეცია.

ნურც დღეს ვიხამთ ამ საქმესა,
უომრად ნუ დაემარცხდებით,
თუ ვერა ვძლევეთ დაიხოცნეთ
სახელითა და დიდებით!!!

ასე ათავეებს მოხუცი თავის სიტყვას და
ამ სიტყვას მე ყოველთვის აღტაცებაში მოე-
ყვარ და ვამბობ: „აი, კაცი, რომელსაც არ
შეხებია ლაჩრობა და რომელსაც ესმის სამე-
ფოს წარმომადგენლის დანიშნულება! ის, მხო-
ლოდ ის არის ჩვენის თანაგრძნობისა და თვით
სამეფო ტახტის ღირსი, და არა მეფე დიმიტ-
რი, როგორც პოეტი ფიქრობს“ —მეთქი.

„ქართლის ცხოვრების“ თქმულებიდან
პოეტს დაუმაღლავს ერთი გარემოება, ურომ-
ლისოდაც დიმიტრის პიროვნება ნამდვილათ
არ დაეხატება მკითხველს თვალწინ. ეს ის გა-
რემოებაა, რომ მეფე დიმიტრი თავდაპირველათ
თავის ხალხის შემბრალბელი, მოწყალე და
ღვთის მოყვარე იყო, ხოლო რამდენსამე წელს
შემდეგ, ხალხის სამსახურიც დაივიწყა და თვით
ღმერთიც: სამი ცოლი შეერთო, უსჯულოე-
ბასა და უწესოებას ხელი მიჰყო და მისი მა-
გალითით მთელი სამეფო გაირყვნაო. ჩვენის
აზრით, დიმიტრის საქციელი (მტრის შებრძო-

ლების შიში და მტრის წინ ლაჩრულათ ქედის
წახრა) მეფის გარყვნილ ცხოვრების შედეგი
უნდა ყოფილიყო, თორემ „პატარა კახს“ გა-
ნა ვრთხელ და ორჯელ დამუქრებია ასჯერ
უფრო ძლიერი მტერი? —მაგრამ, მოხუცის არ
იყოს, „მტრისა წინ არ წაუხრია ქედია“.—
ზომლელი.

(შემდეგი იქნება.)



აკაკი წერეთელი

ტოგორც მგოსანი მამული შვილი.
(გაგრძელება*)

ამათთან ახლოს დგანან ის „მსწავლულე-
ბი“, რომელნიც „ფუტუროს“ მოგვაგონებენ,
თუმცა შორიდან ქვეყნის მნათობებად გვაჩვენ-
ებენ თავს. ისინი მუდამ ლაყბობენ, ყველა-
ფერში ეჩრებიან, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ
საქმისთვის ზრუნავენ, არა—ისე ღროს მოსა-
კლავად თავის განდიდებით და უშინაარსო-
ბით. თუ ყურს დაუგდებ, მხოლოდ ამას გაი-
გონებ მათგან:

ამან ეს თქვა, იმან ის სთქვა, ეს ეს არი!..
ის ის არი!..

ვიცი, გვითხრეს სხვებმა სხვისი, რომ უქ-
ნია ვალაცას რაცლა!..

და თუ კბითხე, ვის უქნია, რა და სად,
ეს არც ერთი არ იცის!..

სხვა ჯურის „მსწავლულეობი“ არიან, აკა-
კის აზრით. მათი ბედნიერება ჩინი და კაკარ-
დაა! ვაი რომ კაკარდა ორზე მეტი არაა შე-
მოღებული, თორემ ათსაც გაიწყაპავდენ შუბლ-
ზე და გულზე!

დიდი სიბრძნის ნიშნად მიაჩნიათ კანის
გამოცვლა! ჩოხის ტარება და ქართულად ლა-
პარაკი დიდ სირცხვილად აქვსთ მიჩნეული.
წვერებსაც სხვა გემოზე უნდა პარსვა და კრე-
ქა, თორემ ველურებში ჩათვლიან!

ესენი მუდამ გაბუტვით დადიან უსწავლე-
ლებთან „ზაფრის ქარები მოსდით“, „სიბრძნე
გულში აღარ ეტყვიათ“, „მოუშვიათ ბაკები“,

*) იხ. „წიგ. საქმ.“ № 5.

„მთელი ნაცია სძულსთ“, სამაგიეროდ ძლიერ ეადვილებათ „ტანცი-მანცი“ და „აპელაცია“.

მათი დევიზია: „იქ შესვლა, სადაც თბილა, სადაც ტბილა, თორემ თუ შე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილა.“

ესენი უფრო შებრალებას იწვევენ ნამდვილ ადამიანთაგან, ვიდრე შიშს და ბრძოლას.

იმათ ბევრი არა შეუძლიათ რა, მხოლოდ ცხოვრების სურათსა და შთაბეჭდილებას ახდენენ, აფუჭებენ, ასე რომ მაინცა-და-მაინც ანგარიშშიც არ არიან ჩასათვლელი!...

სამაგიეროდ საზოგადოებაში ნამდვილი „იუდეებიც“, „მოლალატენი“ და „ფარისევლებიც“ არიან და საფრხვეც აქაა დიდი პატიოსან გვაშთათვის. ესენი ხუთვენ ადამიანის გრძნობებს, რადგან მათი გადააკიდე კაცი ენას ვერ სძრავს, თავში გატარებული ფიქრებისაც კი ეშინა.

„მინდა რამ ვსთქვა, მაგრამ რა ვსთქვა უსამართლოდ ალაგმულმა?“

ჩემი გრძნობა უნდა უხმოდ შიგ ჩაიკლას წყლულმა გულმა!

შე ამ ლაგამს წავიძრობდი, არ მაქვს სხვისი მორიდება; მაგრამ რა ვქნა, რომ ხელმარჯვედ ჩემივე ძმა მეჭადება!...

პოეტი ზიზღს უცხადებს ასეთს იუდეებს“ და ქვა — გუჟღავს აყრის თავზე მათ.

— ჩამოდექ თ! შორს, შორს ჩვენგან!

ავცილია თქვენზე ხელი, შევეტყვეთ, რომ იუდა ხართ, ნამდვილ ისკარიოტელი!

მაგრამ „იუდას“ რომ მოშორდა „ფარისეველი“ ამოეზუტა გვერდში და დაუწყო შეთარჯვა!

— შეხედეთ ფარისეველსა, ლოცვითა ღამის მთევველსა,

ცხადად ბოროტის დამგმობსა ჩუმად კი ცოდვის მდეველსა!

მათი წყალობით მთელი ქვეყანა აქრელე-ბულია, მონასტერი არეულია, ძალდი პატრონს ვეღარ სცნობს, კაცის კულტურამ ბედნიერების ნაცვლად უფრო გადარია ქვეყნიერობა.

აქრელდა ჩვენი ქვეყანა, ხალხიც აირ-დაირია;

მართალ-მტყუნის გარჩევა სწორეთ რომ გასაჭირია... ვის თვალშიც ბეწვი არა სძევს, მისაში თურმე დვირეა; ვინც რომ სპეტაკად მიგვაჩნდა, ის თურმე სულ შავ პირია. ზურგს უკან ყველა დალადებს, პირში კი მთქმელი ძვირია!..

ჩარხი უკულმა ტრიალებს, ვირი კოკობ ვარდს დაჭალობს, ბულბული ვირებრ ჰღრიალებს! ქურდები სჭრიან სამართალს, მართლებს უყრიან ბორკილსა და ქვეყნის მტერი იუდა დასცინის მამულიშვილსა!... ბრიყვი და უსწავლელეები თავში უდგია ქვეყანებს... გაჰქრეს ეს უამი ბარემდი, ნეტავი რას აგვიანებს!

რა ეშველება ქვეყანას, სადაც ყველა „გამხეცებულა“, „გაბეცებულა“, „დაყრუებულა“, სადაც ყველა რომ ერთად შეაწებო, ერთ კაცად არ ღირან“?!

რა ჰქნას ერთად ერთმა მებრძოლმა — მგოსანმა, ბევრიც რომ იტიროს და ითავცემოს?! გმირებს უცივის და არავინ პასუხს არ აძლევს. გაჩუმდეს? გულზე ხელი დაიჭლოს? კი, მაგრამ პოეტის გული რომ ბუნებით ზღვია? რომ ვერ მოისვენებს? გული რომ არ უშვება? ან რაა ის ზღვა, რომელიც ერთხელაც არ აღელდება? ის ხომ მყრალი ტბაა, გველ-ბაყაყების ბუდეა! არა, ზღვის გული სავსეა საუნჯით, რომელიც მაშინ გამოჩნდება, როცა ზღვა აღულდება, აზვირთდება, აბუმბერაზდება, ნაპირებს გადმოსკდება და თავის გულს მზის სხივებს და ადამიანს გაუხსნის.

ასეთი ზღვაა პოეტის გულიც, აკაკის აზრით. მისი მოსვენება ისე არ შეიძლება, როგორც ზღვი, სრულიად გაჩურება. პოეტის გული უფსკრულია, თვალმარგალიტების სალა-

ჩია, ეს თვალ-მარგალიტები მისი მყუდრო-
ბის ღროს დაფარულია ყველასთვის, ამიტომ
პოეტმა ზღვას უნდა მიბაძოს,

„არ უნდა ეკრძალოს მრისხანე გულის
ღელვას“.

მან „ძილის ღროს ქუხილი არ უნდა მო-
შალოს და სიბნელის ღროს—ელვა!“

ჩვენი მგოსანი სიტყვიდამ საქმეზე გადა-
დის და ან წელი მართლაც „ქუხს“ „ქვეყნის
ძილის“ ღროს და „ელავს“, როცა ირგვლივ
წყვილიაღია მოცული ადამიანთა ცხოვრება.
ის ეუბნება ცხოვრებას: ან სიკვდილი და ან
სიცოცხლეო!

„მამად მზე მყავს და დედად მთვარეო,
ვარსკვლავები წვრილ და-ძმალო,

ცა ქუდად არ მიმანია,
დედა მიწა ქალამნალო“.

მართალია, „ქვეყნის შვილი, ქვეყნის მო-
ძმე ქვეყანაზე ყარბი ვარო“, მაგრამ „მაშინ
უფრო მდიდარი ვარ, როცა უფრო ღარიბი
ვარ“.

რაკი ქვეყანა ორპირია და პირში მთქმე-
ლი ვერსად ვიპოვეო,

მე ვ ბ ე რ ა ვ გ უ დ ა ს ა, — ამბობს აკაკი.

ხელში ავიღე სტვირია,
მსურს ყველა ღირსად შევამყო,
მათ ვუთხრა მე შაირია;

ვინც უნდა იყოს, რა მგამა,
გინდ დიდი, გინდა მცირია;

გამოჩნდეს, ვინც-კი დასჩაგ-
ქვრივ-ობოლი და მწირია,

გავსინჯოთ მათნი საქმენი,
გამოვუჩხრიკოთ ძირია

და შევუშუროთ საქვეყნოდ
იმათ ცხვირი და პირია!...

როგორც ხედავთ, მგოსანმა მხოლოდ
ერთად-ერთი მოსაუბრე და მეგობარი იშოვა:
ეს არის მისი „სტვირი“, „ჩანგი“, „ჩონგური.“
ბევრი ქირი მოჰგვარა მას კარზე ამ ერთგულ-
მა მეგობარმა მაგრამ მაინც ის ურჩევნია სხვას,
რადგან ორივენი სიმატლის მოსამსახურენი
არიან და ამით ნუგეშობენ. საუცხოო სული-
ერს ზრძოლას გვიხატავს აკაკი ამ ჩანგის თაო-
ბაზე. ბავრჯერ დასწყველა მან თავის ბედი და

საქმე გაჭირებულმა ქვეყნის ბოროტებით გან-
ზე გადაადლო ჩანგი, მაგრამ მაინც ვერ მოის-
ვენა.

მოდი ჩემო ჩანგურო,
მსურს ისევ გემსახურო,
გამდერო სულ სიმატლევ
და ბევრი მოგამდურო!

ოდეს შენი მომტანი
მე მუზა გავიცანი,
თითქოს ხელ-ახლად ვიშვე
და თავიც მაშინ ვსცანი.

—სულმა ჰგრძნო უცხო ძალი.

გულში ამენტო ალი;
ენახე, თურმე ბრმა ვიყავ
და გავახილე თვალი...

მაშინ აგიღე ხელში
და ვიწყე სამღვთო ჟღერა...

რასაც თვალი ჰხედავდა,
გულიც მის თქმას ჰხედავდა,
და იმ დღიდან მშვიდობა
მგოსნისათვის გათავდა...

ისე გამამწარა ქვეყნის ჭირმაო, რომ დაე-
ჯედ იმედ დაკარგული და სულ „კურცხალი“
ვყარე თვალთაგანო. მაგრამ მოფრინდა მუზი
და მითხრა, რას უზი, რათ არ ვახსნი გრძნო-
ბების აუხსო.

მ უ ზ ი ა ს ე დ ა ს ჩ ი ჩ ი ნ ე ბ დ ა:

— ხან სიტკბო აიაფე,

ხან ნალველი აქაფე,

ქეშმარტება აქე

და ბოროტი აკაფე“.

მაგრამ ამისთანა რჩევით იყო ის, რაც
ჭირი ვადვიკიდე და ახლაც ხომ მოვტყუვდი
და კიდევ სანანებელი საქმე ჩავიდინეო. „მის
შემდეგ, რაც ჩემთან მუზამ იწყო სტუმრობა,
მეგობრობა გამიქრაო“ და ბევრიც ვაგინე ჩემს
თავსაც და მუხასაცო.

მუზა მაინც არ მომეშვაო. მოვიდა და
მითხრა, აი ეს ჩანგი იქნება შენი მეგობარიო:
იგი

— შენი კვენესით მოიწყენს,
შენის შვეებით მოილხენს

და ცრემლში დამდნარ ნაღველს
სიმებით შესვამს, იღენს!..

დავიჯვრე მუხის და შემდეგ ამისა ეს
„ჩანგია“ ჩემი „ნუგეშიო“, გრძნობით ვიღებ
უბეშიო“ და ზედ ხან „ტკბილ გრძნობას დაე-
ლილინებ“ და ხან „სვედას დაეხნეშიო“.

ახლა რაკი ფარად მუხა მღვეს უკან და
შეგობრად გვერდში ჩემი ჩანგია, სულ არა-
ფრის მეშინიაო.

„ცრემლში ნაღესი ნაღველი
მინდა რომ მეღნად ვიხმარო,
საწერლად მიესცე გლახ გული,
ფრთა კალმად აღარ ვიკმარო!

მის ნაცვლად ენა ჩივუწო,
საწვერმახვილო ის არი!...
ხან სამკურნალო მალამო,
ხან სასიკვდილო ისარი!...
თავგანწირულად პირდაპირ
შევექილები ქვეყანას!
რას მომცემს ან რას წამართმევს,
გული რომ დამწყდეს, მისთანას?

თუ არ სიკვდილით... სიკოცხლით
ვერვინ შეგვიშლის ბოდვასა
და გამოვიტან საქვეყნოდ
დაფარულ მადლს და ცოდვასა.

ბევრი უტრიალა ბოროტებას, ბევ-
რი სდია უკუღმართობას და ბოლოს თავზარ
დამცემ დასკვნამდე მივიდა მებრძოლი მგოსა-
ნი: იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნად კაცის სამე-
ფო კი არ ყოფილა, არამედ მხეცების. ის სუ-
ლიერი, ადამიანს რომ ეძახდნენ, ნადირი, პირ-
უტყვი გამოდგა და მაზე უარესიც. ადგა მგო-
სანი და ისევ პირუტყვებს მიმართა და მათში
უფრო მეტი თანაგრძნობა იპოვა, ვიდრე ადამი-
ანში.

— კულ-ქიციანა და დიდ-ყურა,
ჩემო ძაღლო, ჩემო მურა,
სუყველამ ქირი მოგკამოს,
ვინც მე ტყვილად დამემღურა.
რადგან კაცში შეგობარი
უსასყიდო არად არი,
სულ ძებნით რომ გადვიაროთ

ოკდა-ათი მთა და ბარი,
აწ შეგობრად გირჩევ შენა!
— თუმც პირუტყვო, არ გაქვს ენა,
მაგრამ გშვენის კულის ქნევით
ერთგულების გამოჩენა.

მე რომ სევდათ მიწუხს სული,
შენც გიღონინავს მაშინ გული...
და მოღხენას რომ შემატყობ,
ჩემს სიხარულს შუა იყოფ...
ბევრნი ტყვილად თავს იმკობენ,
კაცნი ვართო, ამაყობენ,
მაგრამ მხოლოდ შენ გბაძავენ;
ძაღლობენ და ვერ იტყობენ.

უსაქმურად ტყვილად ჰყეფენ,
საზრდოს სუნით დაეძებენ,
ძლიერს ფეხებს უსლიაქავენ,
სუსტებს—კი საზრდოს სტაცებენ.

აწ მე და შენ ვინადიროთ
და მჭკრეტელი გავაკვირვოთ,
მოედანზედ გამოვავდოთ
ის მხეცები დავიჭიროთ.

ამნაირად მგოსანი თავის შეგობარ—მუ-
რათი დადის სოფელ-სოფელ და აგდებს ბუნ-
გიდან სხვა და სხვა ორფეხა მხეცებს. მათში
ზოგია „თავ-მსხვილი“, ზოგი „კუდაბზიკა“,
ზოგი „თავდაბრილი ღრუნჩია“, რომელიც
„სხვის ეზოს სწმენდს და თავისას—კი სვრის“,
ზოგი მელა, რომელმაც ყველა მოინელა“ და
ზოგიც „მგელი მყრალი და ქვეყნის ამომგდე-
ბი“

როგორც ხედავთ, მეტი გამწარება ცხოვ-
რების უკუღმართობით და მეტი ბრძოლა აღარ
შეიძლება! კარგს მთქელს რომ კარგი გამგო-
ნე ჰყავდეს, ქვეყანას რა უჭირდა კიდევ, მაგ-
რამ, აკაკის აზრით, ხშირად კაცი ისე „შუბლ-
გასქელებულია“, რომ „მგოსნის ერთგულება“
და მისი „მურის ყეფა არც—კი ესმის. ამი-
ტომია, რომ ბოროტებასაც თითქმის არ აკლ-
დება ცოდვილს ქვეყანაზე.

მღვდელი მ. კლუბჯერიძე
(შემდეგი ი. ნება)

პირველი ფურცელი ბიბლიისა.

(პროფ. ბეტეკისა)

(გაგრძელება. *)

თეზები და ფრინველები.

„და სთქვა ღმერთმან: გამოიღე წყალთა ქვეწარმავლები სამზინველთა ცხოველთა და მფრინველები მფრინველნი ქვეყანასა ზედა, სამყაროსა ქვეშე ცისასა და იქმნა ეგრეთ. და შექმნა ღმერთმან ვეშაპნი დიდნი და სამზინველ ყოველთა ცხოველთა ქვეწარმავალთა, რომელნი გამოიღეს წყალთა ნათესაობისაებრ მათისა და ყოველნი მფრინველნი მფრთოვანი ნათესაობისაებრ და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ, და აკურთხნა იგინი ღმერთმან, მეტყველმან: აღორძინდით და განმრავლდით და აღავსენით წყალნი ზღვისანი და მფრინველნი განმრავლდინ ქვეყანასა ზედა, და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად, დღე მუხუთი.“

და სთქვა ღმერთმან:

ღმერთის სიტყვით ქვეყანა შეინძრა. შემდეგ, მისივე ბრძანებით, პირველად შეინძრა ჰაერსა და წყალში სხვა-და-სხვა გვარი პირუტყული სიცოცხლე დი გამოჩნდენ თევზნი და ფრინველნი.

არა ერთხელ გამოიქვე განვირვება იმისგან, რომ ორი, როგორც სწავს, ეგზომ სხვა-და-სხვა გვარი პირუტყუებისა აქ შემოკრებულთა ერთად და შეიქმნა ერთსა და იმავე დღეს. მაგრამ თუ დაკვირვებით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ თევზსა და ფრინველს მართლა ბევრი რამ საერთო აქვთ და არსებითად განირჩევიან ოთხფეხთაგან. ორივესი აგებულება კვერცხის გვარია, უკან წაწვეტილი და უკეთესად მოწყობილი ჰაერსა და წყალში სამოძრაოდ. ორივე იძვრის არა ფეხების შემწეობით, არა მედ ტანის გვერდებზე მოქცეული სახსრებით, სახელდობ, საცურავის ფარფლებითა ანუ ფრთებით; ორივეს მარაოს გვარი კული აქვს, რომელიც

მელიც საჭის მაგიერობას უწევს მათ.—ეს მოწყობილობა არც ერთს ოთხფეხს ჰირუტყვს არა აქვს. გარდა ამისა ორივეს გარშემო კამიტით მოსია ბურტყლნი ანუ ქეცნი, რომელნიც გამოიქმენ ლორწოიანს სითხეს დასაცველად სიცივე-სინესტესაგან. ორივეს ცალი-ცალიერი და ტვინის მაგიერად ჰაერით სავსე, ძლიერ მსუბუქი, მაგრამ ამასთან ძლიერ მაგარი ძვლები აქვს. ორივე კვერცხების საშვალეებით მრავლდება; როგორც ფრინველების, ისე თევზების ეგრეთ წოდებულნი სისხლის ბუშტნი რგვალნი კი არ არიან, როგორც პირუტყუთა და ადამიანებისა, არამედ მოგროძონი, კვერცხის გვარნი და უფრო დიდნი. ბოლოს, ცხოველების ამ ორსავე გვარს აქვს საზოგადო, ფარული, წესიერად მობრუნავი ალღო მოგზაურობისა, რომლისა გამო, როგორც წამსვლელი ფრინველები შემოღომას, ისე მრავალი თევზიც ზღვის უფსკრულებში, მაგალითად, ქაშაყნი და სხ. ყოველ წლობით ურიცხვ გუნდებად შეკრებილნი, მიესწრაფებიან უცნობ მიზნისკენ. თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველსავე ზემოთქმულს, შესაძლებელია სამართლად ვსთქვათ, რომ ფრინველები ჰაერის თევზებია და ცურავენ მასში, თევზები კი წყლის ფრინველები და ფრინავენ მასში. არიან მრავალ რიცხოვანი გვარნი ფრინველებისა, ესრეთ წოდებული წყლის ფრინველები, რომელთაც ფრინვაზე უკეთესად ცურვა იციან. მეორედ მართ, ესრეთ წოდებულ მფრინავ თევზებს შეუძლიათ რაოდენიმე ხანი ჰაერში გაჩერდენ. შვენიერი, თავისუფალი ცხოვრება მიუნიჭებია ღმერთს ამ თავის ქმნულებებისადმი. მრავალს ენაზე არსებობს მოთხოვნა იმის შესახებ, თუ რა კმაყოფილად ცხოვრობს თევზი ზღვაში და რა თავისუფალია ფრინველი ჰაერი. დიდებულად დაფრინავს მთელს საათობით არწივი მალალის მთის წვერვალთ ზემო, მოსვენებით დაქანაობს გამსჭვირვალე ჰაერში და შორ მანძილიდან თვისის გამჭვრეტ მხედველობით ათვალის მთელს დედამიწას; სამხრეთ პოლიუსთან, სადაც ოკეანები მთელ ევროპის უკრცვლეს ადგილს ფარავს, ჰაერის სამეფო ეკუთვნის ძლიერს ალბატროსს. ის აქ თავის

იხ. „ზინ. საქ.“ № 6.)

სახლშია. დადად უფრო მეტის ფრთებით, ვიდრე არწივისიაა, განცხრომით დაფრინავს იგი მთელ კვირაობით ნაპირიდან მრავალ—ასი მილის მანძილზე, ებრძვის დაუღალავად ძლიერს ქარიშხალს, რომელიც უმწეო ხოლმადებს ყოველ მხრივ მიმოაქანებს ხოლმე. და თვისის ხრინწიანის ძახილით შეღალადებს ღმერთს სასაშოვრის შესახებ, რასაც ღმერთი თითოეულს თვისს ქმნულებას თავის დროზე უგზავნის. იმავე ზღვებში მეფობს საშინელი კაშალოტი; სიდიდით ვეშაპის ოდენია, თითქმის მეტიც; უზარმაზარი კუთხებიანი თავი აქვს და სახარელი პირი; დროითი-დრო ამოცურდება ხოლმე ზედაპირზე, ეთამაშება პატარა გემებს და ისეთის ძალით დააფრინდება, რომ თითქმის დიდათ მაგარი გემის გარსიც ვერ უძლევს და დაღეწილი იძირება ბარგითა და ადამიანებით. შემდეგ ის ხელახლად გაქრება სიღრმისკენ და ძლივამოსილად რომინებს თავის წყლის სამფლობელოში,—მბრძანებელი წყლის სიღრმის ყველა მცხოვრებისა; ნათელ-თევზაც (აკულა), ეს ვეფხვი ზღვათა, ესეც თავზარდაცემული და დაფანტული გარბის მისგან.

თუ ვიკითხავთ, შესაძლოა თუ არა დედამიწაში ვიპოვოთ ნაშთნი ამ მეხუთე დღის ქმნულებათა, მეცნიერების დასკვნანი აქაც კვლავ სრულებით ეთანხმებიან ბიბლიის მოთხრობას.

დედამიწის შ ნაგანი შრეები ცხადად მოწმობენ, რომ მცენარეთა შექმნის შემდეგ, რომელთა ნაშთს წარმოადგენს ქვანახშირი, დედამიწაზე, ანუ უფრო ნამდვილია, ზღვაში გამოჩნდნენ ურიცხვნი წყლის ცხოველნი, რომელთა ნაშთებს მილიონობით შეიცავს ცნობილი შრეები დედამიწისა, მაგალ. ასპიდი, გრაფიტი, ფიქალი.

რომ დააკვირდები, თუ როგორ მარტოდ ფიქალის ნიადაგში შეყრილი არიან ასობით და ათასობით ზღვის პირუტყვები სხვა-და-სხვა გვარისა, გესმის შემოქმედებითი სიტყვა: „გამოიღედ წყალთა მრავლის შშობელი“ (ებრაელულის დედნით). იქვე ვხედავთ ზღვის საოცრებებს, რომლებსაც ბიბლია იხსენიებს. მათი ნაშთების, რასაკვირველია, მცირე რიცხვი შე-

გვიძლია დაეინახოთ ზოოლოგიურ მუზეუმებში. მათ „ზაერებს“ ანუ ხელიკებს ეძახიან, გარეგანის შეხედულობით: მაგრამ საქმა გვაქვს 20—70 ფუტი სიგრძის უზარმაზარ ცხოველთა. წარღვის წინანდელ წყლებში ცურავდა უზარმაზარი იხთიოზავრი თვისის ოთხი ვებერთელა ფარფლით და ამტვრევდა მახვილი ყბებით ზღვის სხვა-და-სხვა მცხოვრებლებს, რომლების ნაშთს ახლაც კადევ პოულობენ მის კუქში. ვანსაკუთრებით საინტერესოა თვალეები ამ ზღვის გმირისა. ჩონჩხზედ კიდევ აჩნია, რომ მას თვალეები გარშემოვლებული ჰქონია ძელის მოძრავ ფიცრებით. ამ ფიცრების შემწეობით კუმშავდა თვალებს და ხან თევზის სიფართოდ აღებდა,—ცხადია, მისთვის, რათა ზღვის ზედა პირზე ცურვის დროს მზის მცხინვარე სინათლეს არ დაებნელა მისთვის თვალეები, სიღრმეში კი შეძლებოდა საშოვრის მონახვა. ცხოვრობდნენ ზღვაში უხვად კიდევ სხვა ცხოველები, როგორც მაგ. „ზამბახისებურნი“, რომელნიც, ფსკერს მიყრდნობილნი, მიმოარხვედნენ თორმეტ ფუტიან, გრძელ ღეროებზე თავიანთ ლამაზსა და ყვავილთ-მსგავს პატარა თავებს; გარდა ამისა ძველადგანვე ცნობილნი არიან ამპონიტები, ანუ ამპონის რქები; ამათ მრავალადგის ვპოულობთ; ზოგი აბაზიანის ტოლსა, ზოგიც ეტლის ბორბლის ოდენი და წონით რავდენიმე ფუთი, და სხვა მრავალი.

ამგვარადვე ჰაერის მცხოვრებნიც, ფაინველნი, დედამიწის ამავე შრეებში გვხვებიან პირველად, თანახმად ბიბლიის მოთხრობისა; ფრინველების ნაშთებს აქ ისე მრავლად ვერ ვპოულობთ, როგორც ზღვის ცხოველებისას, რაც აგრეთვე მშვენივრად უთანხმდება ბიბლიას, რომელიც „სიუხვე-სავსეობას“ წყლის ცხოველებს აწერს და არა ფრინველებს. გარდა ამისა შედარებითი იშვიათობა ფრინველების ნაშთებისა კიდევ იმით აიხსნება, რომ წყლის ცხოველები, როცა დაიხოცებოდნენ, ლამში იმარხებოდნენ და მასშივე ქვავდებოდნენ, მაშინ როცა მომკვდარი ფრინველები ზედაპირზე რჩებოდნენ და იქ უგზო უკვლოდ იბრწყნებოდნენ. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვპოულობთ ფრინველებსაც—მეხუთე დღეს შენაქმის ნაშთებს,

როგორც აწინდელთა მსგავსებს, აგრეთვე ამომწყდარ ჯიშთაც.

მოვისმინოთ კიდევ რამე ზღვის ცხოველთა ნაყოფიერების შესახებ; შესაქმის პირველთავეს ოცდა მეორე მუხლში ამ მხრით წყლის ცხოველები განსაკუთრებით გამოყოფილი არიან ჰაერში მცხოვრებლებთან შედარებით. შესანიშნავია, რომ ეს ღვთის კურთხევა დღესაც მოქმედობს. მაშინ როცა ფრინველები შედარებით სუსტად მრავლდებიან და სდებენ 1--6 კვერცხს, თევზებს ისეთი გამრავლების ნიჭი აქვთ, რომელიც ბევრად აღემატება თითქმის მცენარეთა ნაყოფიერებას. მარტო ერთს ქაშაყს (თევზია) 68000 კვერცხი აქვს, კარპში 20000-დან 342,000-მდე, თართში—სამი მილიონია, ზოგში კი ოთხიდან ცხრა მილიონამდე. რასაკვირველია, ეს კვერცხები მილიონობით იკარგება ქარიშხლისგან, წყლის ფრინველთა და სხვა მიზეზთაგან, მაგრამ ვინც ზღვის პირად ცხოვრობს, შეუძლია ყოველ დღე დარწმუნდეს, თუ რა უსაზომოდ მრავალია თევზი და სხვა ცხოველები, რომლებსაც ზღვა შეიცავს.


გავრში *) წლითი წლად ყოველდღე ორმოცი დიდი სათევზაო ნავი გამოდის და შედარებით მცირე სივრცეზე მეთევზეები იჭერენ უზომოდ პატარა კიბოებს, რომლებსაც მრავლად ხმარობენ წყლის-პირელები, აგრეთვე რუანასა და პარიზშიაც, მაგრამ ამისდა მიუხედავად ამ კიბოების რაოდენობას არავითარი საჩინო დაკლება არ ემჩნევა. აგრეთვე 15-დან 20 ათასამდე მეთევზე ყოველ წლებით მიემგზავრება დიდს გემებზე ნიუფაუნდლენდის**) თავთხელს და იჭერენ იქ საშვალოდ 30 მილიონზე მეტს ტრესკას (თევზია) და მაინც ამ ჯურის თევზი არ ისპობა და თითქმის არც კლებულობს. ნორვეგიელები იჭერენ 300 მილიონზე მეტს ქაშაყს, ხშირად კი ბევრად უფრო მეტს და ამას სჩადიან იმ რაოდენობე კვირის განმავლობაში, როცა ურიცხვი ჯგუფი ამ თევზებისა გამწვრივებულია ჩრდილოეთ პოლიუსიდან ნაპირების სივრცეზე და თითქმის

*) შესანიშნავი ნავთ-სადგურია საფრანგეთში.
**) კუნძულია ატლანტიკოს ოკეანეში.

თავიანთ მინდვრების სასუქადაც იყენებენ მათ. მთელი გროვა ვეშაპთა და ნათელთევზათა მისდევს ქაშაყების ამ ჯგუფს, ათასობით სჭამს მას და მით სუქდება, მაგრამ ყოველივე ამასთან თევზთა რაოდენობას მცირეოდენი დანაკლისიც აღარ ემჩნევა. ყოველ წლივ ეს ცოცხალი მდინარე იკარგება ატლანტიკოს ოკეანის უფსკრულში, სადაც ალბათ დიდი თევზების საკმელად ხდება. მაგრამ ყოველ წლივ ჩრდილოეთ პოლიუსიდან გამომდინარეობს ძლიერი მდინარე დაუშრობელის სიკოცხლისა. არა ერთხელ გამოუთქვამო, რომ საჭერ-მიმოსატან საკმაო საშუალებებთან მთელ კაცობრიობას შეეძლება თევზით ისაზრდოს, მასთან თევზთა რიცხვი არასოდეს არ დაიკლებს.

ამგვარად ღვთის სრულდება თქმული ღვთისაგან შესაქმის მეხუთე დღეს ზღვის ცხოველთა შესახებ: „ალორძინდით და გამრავლდით და აღავსენით წყალნი ზღვისანი“
ონოფრე მწირი.

(გავრძელება იქნება)



აბრეშუმის მოვლა.

როდის და ვისგან უნდა შეიძინოთ აბრეშუმის თხელი.

თესლის რიგიანად შენახვისათვის მიღებულიად საჭირო არის ერთ ნაირი სითბო-სიცივე, წმინდა ჰაერი, ერთობ მაკნებელია ნოტიო. რადგანაც სოფელში სახლები იმ ნაირათ არის ჩვენში აშენებული, რომ ზემოხსენებულ პირობებში აბრეშუმის თესლებს ვერ შევინახავთ ამიტომ თესლები უნდა შეიძინოთ უსათუოთ გაზაფხულში.

ეცადეთ აბრეშუმის თესლი არ იყიდოთ ქუჩებში დამტარებლებისაგან, ნუ იყიდით აგრეთვე დუქნებშიდაც, რადგანაც აქ რიგიანად ვერ ინახვენ თესლს; შეიძინეთ თესლი სანდო პირებიდან სამეურნეო საზოგადოებებიდან და კავკასიის სააბრეშუმო სადგურში (ტფილისში).

მურის გამოყვანა თესლიდან.

მურის გამოყვანა დაიწყეთ, როცა, ბეოლის (თუთის) კვირტები გაფოთლას იწყებს ამოიღეთ კოლოფიდან ნაყიდი თესლი, დაჰყარეთ ძალიან თხლათ წმინდა ქაღალდზედ და ეს უკანასკნელი თესლებიანათ დასდევით თბილ სუფთა და მშრალ ალაგას. მურის (ქიების) გამოსვლამდე იქ, სადაც თესლები იმყოფება, ჰაერი არ გააცივოთ, წინააღმდეგ ამისა, თუ მოხერხდება, თან და თან უმატეთ, ზომიერად (ვისაც ტერმომეტრი*) აქვს სითბო მიიყვანეთ 18—19 გრადუსამდე და მეტს ნუ ასწევთ).

მური გამოდის თესლიდან ყოველთვის დილით ადრე, ხანდახან შემდეგშიდაც. როდესაც ეს შეატყოთ, თესლებზედ დააფინეთ ლეჩაქისნაჭერი, ან მსხვილ თვალა ძაფის ბადე ამ ნაირათ გაკეთებული. ან და დახვრეტილი ქაღალდი; ამა ზედ იქა აქ დაადევით ნორჩი, უსათუ ოდ მშრალი თუთის ფოთოლი, ძარღვებით ქვევით, და ასე დასტოვეთ. გამოსული მური ფოთლებზე გადავა და შემდეგ ეს ფოთლები მურებიანათ აიღეთ და დააწყვეთ სხვა წმინდა ქაღალდზედ.

იქონიეთ სახეში და თქვენდა სასარგებლოდ შეასრულეთ შემდეგი დარიგება: 1) დილის გამოსული მური არასოდეს არ შეურთოთ შუდლის გამოსულში. 2) ერთი დღის გამოსული მური არ შეურთოთ მეორე დღეს გამოსულ მურში; ეს თუ ასე არ შეასრულეთ, თქვენი ქიები სხვა და სხვა დროს იცვლიენ კანს. ერთი ჯგუფი ქიებისა, როგორც ლაპარაკობენ ჩვენში, ადრე წვება დასაძინებლად, მეორე კი გვიან, ესენი ადრე აკეთებენ პარკებს, მეორენი გვიან და ამით მომვლელს შრომაც ემატება და პარკებიც ზოგი კარგი გამოდის და ზოგი ცუდი.

როდის და როგორი თუთის (ბულის) ფოთოლი უნდა ახამოთ ზივას.

ამბობენ „თუთის ფოთოლი და ქია ერთი ხნის უნდა იყოს“ და მართლაც აგრე არის: მური გამოჰყავთ მაშინ, როდესაც ბულის

*) ტერმომეტრი — სითბო-სიცივის საზომავია.

კვირტი იშლება. მურს უნდა აქამონ სწორეთ ეს ნორჩი ფოთოლი, ისიც რაც შეიძლება, წმინდათ დაქრილი. მოკრეფილი ფოთოლი დიდხანს არ უნდა დარჩეს მკრეფელის ხელში, არ უნდა შეხურდეს. წვიმიან დღეში მოკრეფილი ფოთოლი და საზოგადოდ სოველი თუ არის ფოთოლი, უსათუოდ კარგათ უნდა გააშროთ. როგორც ცივი, ისე თბილი, მით უფრო შეხურებული ფოთოლი არ უნდა დაუყაროთ ქიებს საქმელად; ფოთოლს ის სითბო უნდა ჰქონდეს, დაახლოვებით, რა სითბოც საყაქეში არის. ფოთოლი არ უნდა იქნეს ყვითელი, შავ-შავი წინწყლებიანი, მას არ უნდა მოყვებოდეს ბეოლა (ნაყიფი).

თუ გინდათ საქმე ბოლომდისინ კარგათ წაიყვანოთ, ქიას მშვიდს ნუ დასტოვებთ: მას ყოველთვის უნდა ჰქონდეს ფოთოლი, რამდენსაც ის მოერევა და არა მეტი; ყველაზედ უმჯობესია ქიას დაუყაროთ სუქქელა ცოტ-ცოტა და სშივათ და არა ორ-სამჯერ დღეში, როგორც ამას ჩვენში შეგებან. თუ ქიას ბევრი ფოთოლი დაუყარეს, ნოტიოს გააჩენს, ბევრი ქიები ფოთლების ქვეშ დარჩება, ჰაერს დაუძძიმებს და მოუწამლავს, ქიებს დაასუსტებს და შეიძლება ბევრიც დაიხოცოს, მეორე—მესამე კანის გამოცვლამდისინ.

კანის გამოცვლა ჰიის „ძილი“.

კარგათ მომვლელის ხელში ქია თხოველობს განსაკუთრებით ყურადღებას მხოლოდ ოცდა ცამეტიდგან ოცდა ჩვიდმეტ დღედი და შემდეგ ის აღის ცახხედ და უმზადებს მის პატრონს ოქროს ან ვერცხლის სახლებს—შაჭკებს. ამ ხნის განმავლობაშიდ ის ოთხჯერ იცვლის კანს. იმ დროს, რომელიც გადის ერთი გამოცვლიდგან მეორედაახლოვებულ კანის ცვლამდე, ეძახიან ჰასაკს. კარგ მოვლასთან პირველი ჰასაკი გრძელდება ხუთ დღეს ამ ხნის განმავლობაში ტანი ქიისა იმდენად გაიზრდება (კანი კი არა), რომ ის მის კანში ვერ ეტყვია, და ამიტომ ეს კანი, უკეთ ვაქვით, ეს ჰერანგი მან უ და მოიშოროს ტანიდგან, უნდა გამოიცივად ის; ამ მოშორებას, ან ცვლას უნდება ერთ-ერთ ნა-

ნახევარი დღე. ამ ხნის განმავლობაში ქია ფოთოლს არ სჭამს, ის თავ გამსხვილებული და ზე აწეული გაშეშებულია, მხოლოდ დრო გამოშვებით გაინძრევა ხოლმე, ისიც მაშინ, თუ რამე მიეკარა. აი ამ დროს ჩვენში ეძახიან ქიის ძილს. ძილის დროს ჭიას ფოთოლი არ დაუყაროთ, არ დახმაროთ; თუ მძინარე ქიებში დალოდავს სხვა ქიები, უმჯობესია, ისინი მოაშოროთ და სხვაგან გადააჯდინოთ, რომ მათ ხელი არ შეუშალონ დანარჩენებს კანის ცვლას. პირველ კანის გამრცვლის შემდეგ ღებვა მეორე ჰასაკი, რომელიც გრძელდება კიდევ ხუთი დღე; შემდეგ იწყება მესამე კანის ცვლა (ერთი-ერთ ნახევარი დღე) და ღებვა მეორე ჰასაკი (ოთხი დღე), კიდევ კანის ცვლა ერთი-ერთ ნახევარი დღე და მეოთხე ჰასაკი, რომელიც გრძელდება ექვსი-შვიდი დღე; ბოლოს კიდევ ერთი კანის ცვლა (დღე-დღე-ნახევარი) და ჯუანასკნელი, მეხუთე ჰასაკი, რომელიც გრძელდება რვიდგან თორმეტ დღემდისინ.

ნაგავის მოზოკება. საყაჭის სიწმინდე.

ყაჭი, როგორც სულდგმული, თხოულობს წმინდა ჰაერს და საზოგადოდ სისუფთავეს, მიუხედავად ამისა სოფელში საყაჭეებში საოცარი სიბინძურება, აუტანელი სუნიანი და შეხუთული ჰაერია. გავა ხან და ხან ოთხი, ხუთი დღე ისე, რომ ქიებს „საწოლს“ არ უცვლიან, (ნაგავს არ აშორებენ), ამიტომ ის თან და თან მატულობს, ღებვა, ღებვა დახოცილი ქიებიც და საყაჭეში ღებვა აუტანელი და მავნებელი სუნი. ამ ნაგავზე უყრიან ქიებს ახალ ფოთოლს უზომოთ, რომელსაც დასუსტებული ქიები სანახევროდ არ სჭამენ; ამ სიბინძურესთან ჰაერიც მძიმდება და ნოტიოვდება, რაცა ბადავს სხვა და სხვა ქიის სენს. ვისაც უნდა მეაბრეშუმეობამ შრომა დააჯილდოვოს კარგი და ბევრი ნაყოფით, თუ ყოველ დღე არა, მეორე-მეორე დღეს მარცხ გადააყაროს ნაგავი, ადგილი, სადაც ქიები იმყოფება ძალიან დასუფთაოს; ქიების გადაყვანა ნაგავიდგან ფოთლებით ან, მით უფრო, ხელით ბევრს

დროს და შრომას მოითხოვს, ამიტომ ყველას ვურჩევ, ვისაც შეუძლია, იქონიოს ასაკრეფი ქაღალდები; ქაღალდების გასახვრეტის შექმნა, ორ-სამ მეაბრეშუმესთვის უგრძობელი იქნება; თუ ქაღალდს ვერ იქონიებთ გააკეთეთ მსხვილ თვალა ბადე ჯოხებზედ გაკეთებული, დააფარეთ ქიებს, ზედ დააყარეთ ფოთოლი და როდესაც ყველა ქიები ფოთლებზედ ავლენ, ბადე აწიეთ, ნაგავი გადაყარეთ და ქიებიანი ბადე დასდევით თავის ადგილზე; მეორე ან მესამე დღეს ამ ბადიდგან ქიება აიყვანეთ მეორე ბადით და პირველი ბადე ჩამოკიდეთ სადმე გასაშრობათ და ამნაირათ ბოლომდისინ. ამ წესით შრომა გაადვილდება და ქიებიც კარგ მდგომარეობაში იქნება. ნაგავი შორს გადააყარეთ.

თუ გარეთ ნოტიო არ არის, ან ქარი, საყაჭის კარი ან ფანჯრები მთელი დღე გაღებული იქონიეთ. თითონ საყაჭის იატაკი მუდამ სუფთათ იქონიეთ, ნაგავს ნუ დასრესთ სიარულის დროს, თორემ ის იატაკს მიეკვრება, დაღებება და სუნს გაავრცელებს საყაჭეში. თუ საყაჭეში სიციხება და გარეთ შედარებით სიგრილზე, დააღეთ კარები; თუ ორივე ალაგას სიციხება—საყაჭეში რამე სოველი (პირსახოცები ზეწარი და სხ.) ჩამოაჭიდეთ, იატაკზედ წყალი მოასხით.

თუ ქიები ჩაფრებზედა გაქვი, ისინი ერთმანეთს არ დაადგათ: ჩაფარსა და ჩაფარშუა ადგილი უნდა იქნეს ნახევარი ალაბი მაინც; ამ შემთხვევაში ჰაერს ექნება თავისუფალი მოძრაობა და ქიებს მუდამ ექნება წმინდა ჰაერი.

ჭიებს სქლით ნუ დააჯდინეთ.

სქლით დამჯდარი ქიები უთანასწოროთ იზრდება, უთანასწოროთ კანს იცვლის, ცახზედაც ზოგი ადრე აღის, ზოგი გვიან, ამიტომაც პარკები ზოგი მოუთავებელი გამოდის და ზოგი კარგი; გარდა ამისა სქლით დამჯდარი ქიები უთანასწოროთ სარგებლობენ წმინდა ჰაერით და ფურკლიდაც, ამისთვის ქიები რაც შეიძლება თხლათ დაიკავეთ.

**ჭივები არ მოაზროთ, ცახები ღროზე და-
უღვით.**


მეოთხე კანის გამოცვლამდე ფოთოლი ზრდის ქიის ტანს. მეოთხე კანის (დიდი კანის) გამოცვლის შემდეგ, თუ ქიას რიგიანი მოვლა ჰქონდა, სხეული სულ ცოტას მატულობს და ფოთოლი მიდის ამბრეშუმის ქურქლის გასაზრდელად და აბრეშუმის მოსამზადებლად. ამიტომ უკანასკნელ ჰასაკში ქიას მუდამ უნდა ჰქონდეს ფოთოლი. როდესაც აბრეშუმის ქურქელი აივსება თხელ აბრეშუმით, ქია თავს ანებებს ქამას, შორდება თავის ბინას და ეძებს ცახს, ბუდეს. საცახეთ ყოველნაირი მცენარე ვარგობს, გარდა ეკლიანი მცენარისა, მაგრამ ეს ცახი, სანამდისინაც მას დაუდგამდეთ ქიებს, მიუცილებლად ძალიან გამხმარი უნდა იქნეს, თორემ უთუოთ ცუდი პარკები გამოვა. პარკის კეთების დროს ქიებს ხელი არ ახლოთ, ცახი არ დაანძროთ საყუქეში სითბო უნდა იქნეს და წმინდა ჰაერი. პარკების მოკრეფა შეიძლება ქსოვის დაწყებიდან მერვე დღეს.

მატლის დახოცვა პარკში.

პარკი, რომლიდანაც გამოვიდა პებელი, აბრეშუმის ამოსაღებად არ ვარგა. ვისაც უნდა პარკში მატლების დახოცვა იმისთვის, რომ უშიშრად შეინახოს პარკები იმ დრომდე, სანამდისინაც, აბრეშუმს არ ამოიღებს, ან არ გაყიდის უნდა მოიქცეს აშნაირად: კარდალში წყალი აადუღოს; დუდილის დროს კარდალზე დადგას საცერი, ამაზე შიგნით დააფინოს საღვფეთქი ან ხელსახოცი; ზედ დააყაროს პარკები (2—3 ვერშოკი სისქით) ზედ დააფინოს რამე (ხელსახოცი, ან საღვფეთქი ან სხვა რამე წმინდა). ცხელი ორთქლი, რომელიც ამოდის კარდალიდან და ჩადის პარკებში, მატლებს დახოცს 12—15 წამს. თუ უნდათ შეიტყონ დახოცილია მატლები თუ არა, ნაორთქლევ პარკებიდან უნდა აიღონ სულ ზეითური პარკი (უკეთესია თუ ამისთვის დამზადი პარკი იქნა, რომელსაც განგებ სდებენ პარკებზედ), გასჭრან ერთის მხრით, ამოიღონ მატლი და გულზე თითი დააჭირონ: თუ მატლი არ გაინძრა,

მაშინ ის მკვდარი ყოფილა და მაშ დანარჩენ პარკებშიდაც მატლები დახოცილი იქნება, თუ გაინძრა — პარკები უნდა შეაჩერონ ორთქლში. დახოცილ მატლებიანი პარკები დაჰყარეთ წმინდა ფიცარზე ან იატაკზე ჩრდილ ალაგას და აშრეთ რამოდენიმე დღეს. ძაფის ამოღებამდე პარკები უნდა იქონიოთ შენახული მშრალ ჰაერში.

ნ. მკურნალი



მეგობარს.

რა დახამს წუთი სოფელად
მიუწდომლის მოტრფიალეს,
ხეტარებად რომ უსახვ
დღეს მტიალსა და ხვალ სამაწყს,

სად ეკელაფერს გადგვირავ
წამძაღობის დაღი მწარე,
და განთიადს თან სდევს მარად
წუგადაი და ბსელი დამე?!

არა, სულის გაშეფება,
ზენასადმი მტკიცედ სიბოლღა,
გახწმინდების ჭაჭუ-ბორჯაღთან
მედგარ გუღით მარად ბრძოლღა,

ჩათლისათვის თავდადება
ადგის ბუღა გუღში ალადა
ქრისტე — მსსხელას სიბრძნის სისე
განეურქელი ადგადად.

მეუძვრულად, შეუწყვეტლავ
სამხნაით, თავი-განწარულად
ეკელის გზითა საარული
ერთ-გულად და ერთ სულად,

გაღვგათ და მარად ვკარა,
ზედ განგმარგა გმარის გულას, —
აქა ზეში ტრფიალ კალა
და მალამო ტახევა-წყელულის!

სამხნის ბეჭდათ, სეჭურქელათ

ვათ დაეცეს ქრისტეს გმირი,
თუნდ შეიქნეს ბასრის ღახურით
სასიკვდილოთ გასაგმირა?

—
დე იდინოს სისხლის ოფლის
ოკეანე ტანჯულ გულის
და აღსრულდეს მისკერძლად ჩვენის
ზენაარსის სიუყარულის.

—
მისკენ ლტოლვას კერ დაქრბს
მისთვის ოფლის ღვრა-დინება:
ამას ტანჯვად აბა ვინ გრძნობს
რაც სიუყარულს ემისკერძლება!

—
მწამს, სამართლის სამსკერძლოზე
ძღვენი უქმად არ დაჩება,
უხრწნელების აუჯებებს
მეარ საფუძვლად დაეება!

ონოფრე მწირი.



რ ა უ ნ დ ა ს ო ფ ე ლ ს .

ქუთაისის გუბერნიაში ორხი ქალაქია, (ქუთაისი, ფოთი—პორტი, რედუთ-კალე და ოზურგეთი), რომლებშიდაც, სტატისტიკურ ცნობებით, სცხოვრობს 57,037 სული ორთავე სქესისა; შვიდი დაბაა: (ხონი, ონი, ახალსენაკი, სუჯუნა, ზუგდიდი, ანაკლია და ხოპი), ამათში სცხოვრობს 17,719 სული. შვიდს მაზრაში (ქუთაისის, შორაპნის, რაქის, ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთისა). არის 199 სოფლის საზოგადოება და ამას შეადგენს 1,075 სოფელი, რომლებშიდაც სცხოვრობს 471,322 სული მამათა სქესისა და 420,316 დედათა სქესისა, სულ 891,638 მცხოვრებლებიც, გამოდის რომ მთელს გუბერნიაში სცხოვრობს 948,675 სული ორთავე სქესისა, ე. ი. თითქმის ერთი მილიონი სული.

1,075 სოფლის მცხოვრებელი (471,322) თითქმის ყველა მგურნეა: ის სცხოვრობს მით და არჩენს ქალაქებს და დაბებს, რომლე-

ბის მცხოვრებთა რიცხვში დიდს უმეტესობას შეადგენს ქართველები, იგივე სოფლის შვილები, სოფლის აღზრდილები.

როგორც ყვაილი ფუტკარს, ისე ქალაქები და დაბები იზიდავენ სოფლიდგან იმ ძალას, რომლის თანადასწრება სოფლისთვის, მის წინ მსვლელობისთვის, მიუცილებელი საჭირო არის; ქალაქებში მიზბის ნასწავლი სოფლის შვილები ქალები და კაცები, ახალგაზდობა, ცოტად თუ ბევრად შეძლებული თავად-აზნაურობა. მართალია, ეს მოვლენა მარტო ჩვენი ხვედრი არ არის, ასე ხდება თითქმის ყოველგან, მაგრამ ყოველგან კი არ არის ის ერთი რამ, რომელიც სამარცხვინო დაღსა სდებს სოფლის წარჩინებულ შვილებს—ქართველებს, ის არა თუ ხორციელად ეკარგება სოფელს, იმ წრეს, სადაც ის იშვა, არამედ სწყვეტს ყოველნაირ კავშირს მასთან, თითქო ის მისთვის გარეშე იყოს. ამ პირობებში ჩავარდნილი სოფელი, რომელსაც გაჭირვების დროს წინამძღოლი არა ჰყავს, გულშემატკივარს და მის ქირ-ვარამის გამომხატველს ვერ ჰპოულობს, ვარდება სასოწარკვეთილებაში და ძალიან ხშირათ ემონება ისეთ გარემოებას, რომელსაც არასოდეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს დიდებულ, ბუნებით შემკულ კუთხეში, კუთაისის გუბერნიაში.

მართლა რით უნდა აიხსნას ის უბედურება, რომელშიდაც ჩვენ უკვე ფეხი ჩავდგიით და რომელიც მიუცილებლად დაგვაძონებს, გავსრესს, დაგვადნობს, როგორც წყალი შაქარს, თუ რომ ეხლავე, დაუყოვნებლოვ არ შევივიარადლით და გმირულად, შეერთებულის ძალ-ლონით არ მოვსვენთ ეს კაცობრიობის დამღუბველი მტერი, თუ რომ ეხლავე არ გავამართლეთ პრაქტიკულად ერთობა, ძმობა და ამხანაგობა. რა არის ეს უბედურება? ეს უბედურება არის უპირველესად ყოვლისა მატერიალური სიღარიბე, უფულოობა, უპურობა. ამ სიღარიბის მიზეზით ჩვენ ყოველნაირათ ჩამოვრჩით კულტურულ ერებს, უმეტესად ზნეობრივ, და გონებრივათ, —ამ სიღარიბის მიზეზია კიდევ ჩვენი სიბრმავე, ე. ი. უსოდინარობა, გაუგებრობა იმისა, თუ რასაც გვეუბნება ჩვენი

მრჩენელი დედა მიწა, რასაც ის გვთხოვს, უცოდინარობა მცენარეებისა და წვრილ და მსხვილ ფეხ— შინაურ ცხოველებისა, რომლებიც ერთად შეადგენს მეურნის სიმდიდრეს. სიღარიბე შეუძლებელია ჩვენ მეურნისთვის, თუ რომ მან იცის რიგიანათ და თავის დროზედ მიწის დამუშავება, თუ რომ ის გამოიყენოს მის შემადგენელ ნაწილებს, თუ რომ მან იცის მოხმარება სასუქებისა (ხელოვნური იქნება ის, თუ ბუნებრივი— ნეხვი), თუ რომ მან შესწავლა მცენარეების და საქონლის სხეული და მისი მოთხოვნილება და სხვა და სხვა.

ამისთვის მას სჭირია ის დიდებული მნათობი, რომელსაც უწოდებენ სახელათ სწავლა-განათლებას. მეურნეს სჭირია სამეურნეო სწავლა და მისი მოხმარება; ეს სწავლა-განათლება მას უჩვენებს ნამდვილ გზას, რომელზედაც იმან უნდა გაიაროს.

მაგრამ ქართველ მეურნისთვის ეს სწავლა მარტო საკმარისი არ არის: ის წვრილი მემამულეა და მას ყოველთვის გაუჭირდება თავის საკუთარს საშვადებით შეიძინოს ყოველისფერი ის, რაც მიუცილებლად ააყვავილებს მის მეურნეობას, გაამდიდრებს მატერიალურად., მაგალითად ის ვერ შესძლებს იქონიოს მიუცილებელი საქირო სამეურნეო იარაღები, შეიძინოს კარგი ჯიშის საქონელი, მცენარეების თესვები და სხვა, და, შესაძლებელია, საკმარისი და მიუცილებელი ცოდნაც ვერ მიიღოს თავის პირად საშუალებით. აი ამ შემთხვევაში ჩვენ როგორც სხვაგან, მიუცილებლად უნდა შევერთედეთ რამოდენიმე პირები ერთად, შევადგინოთ ამხანაგობა, სამეურნეო ამხანაგობისა, რომელიც შეიძენს შეერთებულის საშვადებით ყოველნიერ მიუცილებელ მასალას.

ამ ამხანაგობის საშვადებით ჩვენ შოვსობით ჩვენ მეურნეობის დამაქვეითებელ მიწებს და მოვიღებთ საკმაო ჰირნახულს. ამ ჰირნახულის ბაზრის მოპოებაშიდაც ჩვენ გვჭირდება კიდევ ამხანაგობა, რომ ამით თავიდან ავიცილოთ მთელი ჯარი იმ ჩარჩებისა, რომლებიც გროვად წაყიდ მეურნის ოფლით მოპოვებულ ჰირნახულს ბაზარს აწოდებს ხუთ და ათ წილ ფასად.

ერთი სიტყვით სოფელს, ქართველ სოფელს სჭირდება სამეურნეო ცოდნა, სამეურნეო ამხანაგობები, რომლებთა მიზანია— გაუადვილოს მეურნეს წარმოება, მოუპოვოს რიგიანი ბაზარი, მოაშოროს მაწანწალა ჩარჩები და თავის დროზედ მწარაოებელს (მეურნეს) უშოვოს საქირო ფულიც.

როდესაც ჩვენს სოფლებს მოეფინება სამეურნეო საზოგადოებების და ამხანაგობების სქელი ბადე, როდესაც თითოეულ მეურნეს ეყოლება ერთგული ამხანაგი—სწავლა, სწავლის საუნჯე, ე. ი. ექნება სამეურნეო წიგნაკები, დარწმუნდით სოფელს ასე ადვილად არ მოშორდება მისი გაზრდილი შვილები, რომლებიც დღეს ათასობით დადიან ქალაქებში ლუკმა პურის საძებრად. განსახორციელებლად ყოველ შემოსენებულისა საქირო არის, ბატონებო, სურვილი და სურვილი, სიყვარული და სიყვარული პატიოსან შრომისა და დანარჩენი სულ ადვილია. ქართველს დიდი სიმწარე გამოუცდია მთელს ოც საუკუნის განმავლობაში, ის იმ საუკუნებში სისხლის მორევში სცურავდა, გარეშე მტრებს გულმკერდის სიმგრეების ბარბიკადებს უმზადებდა და გამარჯვებული ოჯახს უბრუნდებოდა, თოფ იარაღს ასვენებდა და წმინდა სისხლით მორწყულ დედა მიწას გულნით ზურგს უუჩქნიდა, თავზედ ევლებოდა. ნუ თუ ეხლა, როდესაც თოფი-იარაღით ომი ტვინით ომზედ შეიცვალა, ზურგი უნდა ეაქციოთ იმ დედა მიწას, რომლის გულმკერდში განისვენებს წმინდა ძელები წინაპართა!?

არა და არა: ჩვენი ტვინი სხვის ტვინზედ ნაკლები არ არის და თუ ავამუშავებთ, ჩვენი სამოთხის მსგავსი კუთხე არა ერთ მილიონს გააბედნიერებს....

ნ. მკურნალი.



კვირიდამ კვირობამდე.

როგორც გახ. ვ. რ. კატეობასის სამდეკლოების კრედიტისთვის დუმის ძალიან ნახევარი მხეთი მაუმატება წლიურად.

სარწმუნოებრივ განმანათლებელი საზოგადოება. უოკლად სამღვდელთა მიერ. კმაყოფილება. გიორგის აზრად აქვს დაარსოს საზოგადოება, რომელსაც მიზნად ქმნის ხალხში სარწმუნოების აღდგენა და განმტკიცება. ასეთი საზოგადოება სწორეთ საჭიროა დღეს, როცა სარწმუნოება ასე დაცემულია. წესდება უკვე შემუშავებულია და ამ დღეებში დამტკიცდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამღვდელთა სინხარულით მიეგებება ასეთ საზოგადოებას დაარსებას და ხელს შეუწყობს მას თავის მიზნების განხორციელებაში.

მედიკალური საქმიანობის საზოგადოება. ამ დღეებში დაიბეჭდება და გამოვა დროება შესახებ ახრეშემის მოკლესა. წიგნები შედგენილია ცნობილ მეურნე ნ. მეურნისაგან და ეძირება არა უმეტეს სამი კაპიულისა. საჭიროა სოფლის მასწავლებლებმა და მღვდლებმა მიადონ თავის თავზე წიგნების გაჭრელება. გამოცემისგან შემოსული ფული მოხმარდება მეორე წიგნების გამოცემის, შესახებ ბოსტნეულობის მოვლა-მატრონობისა.

ზოგადი განმარტება. შინ საქ. მერვე ნომერში ჩვენ დახატავი გვეჩვენა ქუთაისის გუბ. თავად თავადზნაურობის კრებაზე. როგორც გავიგეთ, ეს კრება კერძო ფორმისა.

კიდევ ვინისკოპონების დაპატიმრების შესახებ. რაც ხანი გადის, საზოგადოება თანდათან მეტ უმჯობესობას აცხადებს შესახებ ეპისკოპოსის და ანტ. ამბროსის ბუდილობისა. უოკლად მხრიდან მოგვდის წერილები, რომელშიდაც გვთხოვენ გამოავიკვინოთ, რა ბრალს და რა საბუთით სდებენ უოკლად სამღვდელთა კირიონს, ლეონიდს და ანტონიანდრიტ ამბროსის? რით დაიმსახურეს ამით ასეთი სასჯელი რა არის მიზეზი, რომ საქართველოს სამღვდელთა ასე განზე დაუწევს უწინა? მართლაც, ავტორიტეტობა ვათხოვეთ, მაგრამ თხოვნისთვის სხვა ვინ დასაჯეს, ჩვენ რომ დაგვეჯინო. თუ ავტორიტეტობის მოთხოვნაში სუბსტანციურად მიმართულებას ვხედავთ, ძალიან სტრუქტურულად, რადგან ჩვენ გარკვეულ გვესმის, რომ საგუთარი ძალიანთ ვერ გამოვლავლებით თანამედროვე რთულ ცხოვრებას და დღეს რომ რუსეთს

გამოკეთიშოთ, ხვალ ან ისე მას უნდა შევეშვათ, რომ, მიგვიდოს თავის მთავრელობას ქვეშ და ან რომელიმე მღაერ სასკლშიფიოთ უნდა შევედროთ ჩვენი ცხოვრება.

რედაქცია ბოდიშს ისდის, რომ ამის შესახებ მას არაფერი ცნობები აქვს, მის მეტი რაც საზოგადოდ გამოცხადებული არ იყო. როგორც სხანს რუსულ გაზეთებშიც მ. კოსტოროვს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ შემთხვევაში. სტავროპოლის სემინარიაში დაჩვეული ვაშუშობის, იგი ვერ ისვენებს უამისოთ და სადაც მართლს ვერას ვხედავს იქ ტყუილს იგონებს თავის ბუნების დასაქმყოფილებად. მერვე საქართველოდან იგი განაწეულებული წავიდა, რათ ერთხელ ვერ გავარუსე ქართველები, რატომ ვეკლა ისე არ დამემორხილა და ჩამ ნებაზე არ თამაშა, როგორც მაგალითად ერთი კინძე. ამისთვის კარიონს დაკახილ და კავკასიას სისხლით მოვრწყვა. სისხლით მოვრწყვას და მღვდელთა კრების წამებას დაჩვეულია მრავალტანჯული საქართველო; იგი მთელი თეთსმეტო საუკუნე სისხლში ითხუნებოდა, რომ სარწმუნოებრივ-ეკლესიული თეოთარსებობა დაეცვა, მაგრამ დღევანდელი რუსეთის მართებლობა იმდენ წინდახედულობას ვი გამოიჩინს, რომ მ. მეომარ დეკანოზის სიტყვას არ აუკება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რაც მოხდა ევკლასიური გაუგებრობის მიზეზია და ეპისკოპოს კირიონს და ანტ. ამბროსის ჩამოკლება ექსარქოსის მკვლელობის სამარცხვინო ნიღაბი და ნათლად გააჩნდება მათი ამ საქმეში უბრალოება.

კოსტოროვსა და სინოდ შორის საქმე შეტად გ შევკვებულა, როგორც გამოცემის გაზეთ. „საკავაზი“. აბერბროკურორს ლეკანოვს დაუხეია სინოდის დადგენილება, რომლითაც კოსტოროვს ევალეობა ციმბირის სასულიერო სასწავლებლების რევიზა და უბრძანებია საქმეების დაბრუნება. შესანიშნავია, რომ აპონიაში და ციმბირში სამგზავროთ კოსტოროვისთვის უკვე გამოწერილი ფორმალა ორდერით სია ათაია მახუთი.

22 თებერვალს მომხდარ კრების გამო დახატომრებულ იქმნა თნი ნ. თავდგირიძე და დ. მიქელაძე.

რედაქტორი, მღვდელი სინოდ მხედლიძე გამომცემელი იოსებ ლიპაძე.